


2
1952

საქართველოს კავშირები

ამერიკელი ჩაინდი და მისი მებაჟაე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სსხ წიგნის
ფონდი
117
57v
52



ბ. გ. ლომიძისა

ნ ი ა ნ ბ ი

ძაღლების ჭირისუფალნი



ნაწყვეტი რომანიდან „ვაზის ყვავილობა“

ისევ შეუძახა თავის მეინახეებს თაბაძამ, შემდგომ ამისა არადელს მიუბრუნდა:

„არამც და არამც არ მოგეშვები, ზურაბ, ჯერ შენი ხელადა დასცადე და მერმე ძაღლების სასაფლაოს ამბები უნდა გვიამბო“.

ციხისთავი გაოცებული ილიმებოდა, თავათაც დაინტერესდა: ვის გაუმართავსო ძაღლების სასაფლაო? არადელი ცოტა ხანს გაოჩნდა და ბოლოს ასე დაიწყო:

„ეს ამბავი პარიზში მოხდა, სწორედ ჩვენი სტუდენტობის ხანაში, როცა მე და ვახტანგი ხანგამოშვებით ვმიმშობდით ხოლმე. ერთხელ მთლად უნუგეშო მდგომარეობაში ჩავყარდით, ჩვენი პანსიონის დიასახლისს განუცხადეთ: ამ კვირია სხვაგან ვისადიდებთ, ჩვენთვის ნუ შეუკვეთათ-ოქო სადილებს.“

მოგესხენებათ პარიზში დიდზე დიდი განსაცდელი უცდის ყოველ გზაჯვარედინზე ახალგაზრდა კაცს. ზოგს რომელიმე აფერისტი ედგაკაცი გადაეკიდება და ძალათი შეართვეს თაფს, ზოგს უცხოელის „ღეგიონის“ აგენტი აეკვიტება, აფრიკაში გაიტყუებს და იქ ან აჯანყებული რიფები მოჰყვამენ, ან მორიგეები დაკბენენ, ზოგს „გესტაპოს“ რწმუნებული, ზოგსაც „ინტელიჯენს სერვისის“ აგენტი გადაეყრება სადმე.

ამ შპიონური ორგანიზაციის აგენტები სხვადასხვაგვარად შენიღბილი არიან, ზოგი ვითომდაც ოფიციალთა, ზოგიც პროფესორი, ენების მასწავლებელი.

ზოგიც ვითომდაც ხელოვნების მოყვარული, ღუვში დადის, აშტერდება სურათებს და გვერდით გავლილ უცხოელ ყმაწვილს ვითომდაც აზრის გასაზიარებლად გამოეცნაურება.

ამაოდ გვსდის ამ გარეწარება. ბოლოს შიმშილმა მიგვიყვანა სიტრონის საავტომობილო ქარხნის შავ კარებამდის, რომელსაც უთუოდ დაშვინებოდა დანტეს ჯოჯოხეთის ბჭეებზე წარწერილი: „მუნ შემავალთა, გირჩევთ აქვე დასტოვოთ სასო“.

ერთი თვეც არ გასულა, მე და ვახტანგს რატომღაც კომუნისტობა შეგვწამეს და გამოგვყარეს ქარხნიდან.

დავდივართ, ხან ტირიშ ვცდით ბედს, ხან აფიშებს ვაგრცელებთ, მიცვალბული ბურჟუების საიქიოს გადაბარგების მაუწყებელს. პანსიონიდან დაგვითხოვეს, სადღაც მანსარდში კუთხე გვქონდა ნაჭირავები, მანდ შეგვეძლო მხოლოდ დაგვეძინა, დღისით ან ბიბლიოთეკაში ვმუშაობდით, ან პარკებში ვისვენებდით, და აი, ერთხელ:

ბიბლიოთეკაში ვზივარ, სიმშილის გამო წიგნის კითხვის თავი აღარა მაქვს. ვახტანგი გახარებული მოვარდა და მიჩურჩულა: ადექ, ნავიდეო, ზურაბ, ბედი გვეწვიაო.

ერთი კი გავიფიქრე: საუნჯე რამ ხომ არ უპოვნია-მეთქი. ვეკითხები:

რა ნახე, რა მოხდა-მეთქი?

წამოდი და ბედსა გწევო. ტრამვაის ფული არც ერთს არ აღმოგვაჩნდა. დავადექით ბუღვარ სენ მიშელს, დათინური კვარტალი გავიარეთ. მივდივართ, მივდივართ, ჩვენ ღონე გვედევს, მაგრამ სიარულმა გზა ვერ დაღია.

ბოლოს მიმიყვანა ვახტანგმა ერთ-ერთ არისტოკრატულ უბანში, ვიდეების რაიონში, იტალიური პინიებითა და ნაძვებით შემორაგულ ადგილას მივედით.

ირგვლივ საუცხოოდ შემკული სავარდეები იყო, ქრისტიანულ სასაფლაოს არა ჰგავდა იგი, რადგან არც ეკლესია იყო სადმე და არც ჯვარი, არც მარმარილოს მავზოლეუმები.

საფლავები ბლმად ჩანდნენ, მაგრამ პატარ-პატარა, ბავშვის სამარხის ოდენა. სამარხები ბზითა და გაზონით იყო შემოვლებული. მარმარილოს პანია რამეებს ვკითხულობ: „დაუფიქრარ ტობის“ (დაბადებისა და სიკვდილის თარიღი იქვე), „ჟანეტს“, „ჟეკს“, „სალამანდრას“.

ნუ იტყვით, ანტიური სამყაროს უდიდეს გმირთა დანდებიც შეუწუხებიათ. შემდეგსა და შემდეგ სამარხებზე ეწერა: ჰექტორი, ოდისე, პრიამი, ახილი, ჰანიბალი, ცეზარი და სხვა.

მე ისტერიული სიცილი ამიტყდა, ვახტანგიც იგულებოდა, გამაფრთხილა, ასეთი ხარხარი აუტეხია პირველად აქ მოსულს, გამოუპანლურებიათ, როგორც ჩანს, დაცივნისათვის, ამ „პატივცემულ ძაღლების სასაფლაოდან.“

კორინთელი ყმაწვილსავით გაწითლდა. ძია ნიკომ ხორხოცი მორთო, ციხისთავსაც ბევრი იცინა.

„შენ გაიხარე ბიძია, განაგრძე თუ გიყვარდე, ზურაბ, შევედრა თამადა არადელს.“

„ეგ კიდეც არაფერი. სამარხების თავით დადგმულ მწვანე სკამებზე წყვილ-წყვილად ისხდნენ შავფრაკიანი მოხუცები, ყორნისფერი ცილინდრები ეხურათ თავზე, ხოლო მათ გვერდით შავდ-მოსილი ედგაკაცები, ზოგი მათგანი ლაწვის თავებიდან იწმენდდა ცრემლებს.“

ეს ამბავი რომელიმე მწერლის გამოგონილი არ გეგონოთ, ან საღალობო ანეგდოტი, ნამდვილს მოგახსენებთ. მართლაც მისტიროდნენ ისინი „ტრაგიულად დაღუპულ“, საყვარელი ძაღლების ბედს.

„ეგ არ არის მაინც უმთავრესი. მიჩურჩულა ვახტანგმა და იდაყვი მომიცაცუნა, შენ ის პატარ-პატარა ხედრემოდნები ნახე. ძაღლების ჭირისუფლებს რომ უდგიათ გვერდით, ოლონდ შენებურად ხარხარი არ დაიწყო იცოდე“.

ჩვენც ვითომდაც მოწყენილი ჩამოვჭექით ერთ მწვანე სკამზე, რათა ყველას აგრე ჰკონებოდათ, რომ ჩვენც ჩვენი ძაღლების სატირად ვიყავით მოსულნი.

როცა ძაღლების ჭირისუფლებმა ხედრემოდნები გახსნეს, ამოაღაგეს ძაღლების საკურთხი, რა გინდა სულ და გულო.

წითელი, ხასხასა ნიღერანდური შაში, ნაირნაირი ყველი, კარაქითა და ბატის ქონით, ხიზილადითა და თევზეულით შეზავებული, ბუტერბროტები, ტორტები, ნამცხვრები, შოკოლადები და კამფეტები.

უნდა გამოგიტყდეთ, კბილები აგვიკანკანდა ხანგრძლივად ნა-შიმშილდეთ ამ ღუკულისებური საუზმეების შორიდან ჭვრეტისაგან“.

ამ ამბის მთხრობელი ზურაბი დადუმდა.

„მერმე რა ჰქენით, ვეყო?“

იყვირა ძია ნიკომ.



„ახლა ყველაფერი უნდა გვათქმევინოთ, ძია ნიკო?... თქვა ვახტანგმა, თავათაც იცინა ჯერ და მერმე დასძინა: „რა ვქენით და მოვუცადეთ ძაღლების ჭირისუფლების წასვლას, მერე იქვე დავსხედით, იმავე მწვანე სკამზე და ვარხადალო ვიძახეთ...“


დარბაზში ატყდა ჰომერისეული ხარხარი, ესე იგი ისეთი, როგორიც ჩვევოდათ ხოლმე ოლიმპელებს. სიცილისაგან მოგვრიდ ცრემლებს იწმენდდა ძია ნიკო, თანაც ღუღუღებდა:

„თქვენ გაიხარეთ, ყმაწვილებო, ამდენი რომ მაყინეთ, გაიხარეთ, გაიხარეთ,“ შესძახა თავის მეინახეებს თამადა და დაცილილი ხელადა ზეასწია.

ზურაბ არადელმა მხოლოდ მზერა გაუსწორა ვარას და თქვა:

„აი ამიტომ შეგვძაგდა სამუდამოდ ბურჟუაზია, ამიტომაც მივატოვეთ სიხარულით მისი არაადამიანური, კაცთმოძულე და ძალდ-მოყვარე ქვეყანა... ვინ იცის, იმ საღამოს იმავე პარიზში რამდენი ათასი მოხუცი და ბავშვი შიმშილისაგან სულს ლაფავდა აურაცხელ სამადლოებსა და ინვალიდების სახლებში!“





უსაფუძვლის სიმღერა

— განსწავლული დაგებრუნდით, მაგრამ განა თითო-თითოდ,
ჩვენს ათასებს მოუარეთ, თუ გსურთ დარჩეს ტიტო—ტიტოდ!

ქრელო-ქრელი ამბები

კონსტიტუციის „დაშვებული“ პოლიცია

მგელი მგელს ესტუმრა:

— ჩემო ნათლულო, მირჩიე, როგორ მოგუარო კრავს,
რომელიც განგებამ ხელში ჩამიგდო?

მასპინძელ მგელს გაუკვირდა:

— ნათლია კაცი ხარ, თუ რამე ვიცი — შენ გისწავლებია,
ჩემი რჩევა რად გინდა, სწვდი ყელში და გამოლადრე!

რჩევით წაქეზებულმა მართლაც კბილები წამოიგრძელა,
მაგრამ მწყემსის კომბალმა... გაიშხულია და...

თქვენ იცით რა ხეირს დააყრიდა მას კომბალი...

ოდესღაც სურათებიან წიგნში ამოკითხული ეს არაკი
გამახსენა დასავლეთ ბერლინიდან მიღებულმა ცნობამ ინ-
გლის-ამერიკის ზონაში ეგრეთ წოდებული „კონსტიტუციის
დამცველი“ პოლიციის შექმნის შესახებ. ეს ჰიტლერის „გეს-
ტაპოს“ მაგიერი ორგანო გახლავთ, რომელსაც დავალებული
აქვს მშვიდობისათვის მებრძოლ ორგანიზაციების მოსპობა.

ამ მგლური დაწესებულების მუშაობაში ყველაზე სასა-
ცილო ის არის, რომ მისი მეთაური შუხარდტი ამას წინათ
პარიზის პოლიციის ესტუმრა — პროგრესულ ელემენტებთან
ბრძოლის მეთოდების გასაცნობად.

დიდი თავისთებვა არ უნდა იმის გამოცნობას, თუ რას
ასწავლიდა ფაშისტი ფაშისტს.

გაბილი მოგონება

ინგლისში, სადაც ამჟამად რეაქციონერთა გააფთრებუ-
ლი ყაყანია მოსკოვის ეკონომიურ თათბირის გარშემო, აღა-
მიანთა მთავარ საკვებად მხოლოდ ჩერჩილის დაპირებებილა-
დარჩა. ამის გამო ხშირად იხსენებენ კარგად შესარგ სმა-ჭა-
მას და თავს მოგონებებით ინუგეშებენ.

ამას წინათ დანურმა რეაქციულმა გაზეთმა „ინფორმა-
ონმა“ ინგლისელებს გაახსენა, რომ: „ინგლისური როსტბიფი-
დან მალე მხოლოდ საუცხოო მოგონებალა დარჩება. დიდი-
ბრიტანეთი სრული ვეგეტერიანობის გზაზე დგება“.

თუმცა შორს წასვლა რაზე გვჭირდება, როცა თვით ინ-
გლისური ჟურნალი „ეკონომისტი“ ადასტურებს, რომ: „წელს
ინგლისის მოსახლეობას მოუწევს უფრო თხლად წაუსვას კა-
რაქი პურზე“.

ტკბილია ოცნება წარსულზე! მაგრამ როცა ინგლისის
გავლენიან სახელმწიფოსგან მხოლოდ ჩერჩილი, ტკბილი მო-
გონება და ორმოცდამეცხრე შტატილა დარჩა, ჟურნალ „ეკო-
ნომისტის“ ოცნება სქლად წასმული კარაქის შესახებ იმას
ჰგავს, კაცს რომ თავს სჭრიდნენ და გაჰქიოდა: „მუწუკი არ
მატკინოთო“?!

რა მთხედოა?! ქართული ბიზლირთქა

ა. ნ. 14 აპრილს შესრულდა 22 წელი ვ. მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან. ვ. მაიაკოვსკის მრავალი ღვაწლი ეძღვნა ინარჩუნებს თავის მაღალ მხატვრულ-პოლიტიკურ სიმბავიდეს. ვბეჭდვით ვ. მაიაკოვსკის ერთ-ერთი სატირული ღვაწლის ახალ თარგმანს.

რა მოხდა, პეტრეს
რა დაემართა?
ვერ გამოიცნობთ
ამას იოლად—
დღეს თანამშრომლებს
წყნარად მიმართავს,
განაზებულა,
ვით მათიოლა.
იგი მთელი დღე
სკამს არ შორდება,
აბა, შეხედეთ
რა დინჯი არის.
შედიოთ,
დღეს აღარ გაბოროტდება,

მოუხსენებლად
შეაღეთ კარი.
ქალაქებშია
ჩაფლული იგი.
ფიქრობს...
რკალივით მოღუნულია,
ახეთი შრომით
და ენერგიით
უცბად მოგვარდა
საქმე სრულიად.
ზედმეტ ქალაქებს
სპობს... არ ისვენებს,
თითქოს მზე აღნობს
აქ თოვლის ფიფქებს.
ბიუროკრატიზმს
ვინ გაიხსენებს,
ან მასზე ახლა
ვინ გაიფიქრებს?
შუქი და ჩრდილი
უმშვენებს სახეს,
ხად ხარ მხატვარო,
ან მოქანდაკე?
დღეს გაიძახის
ყველა მის სახელს,
მის ყოფაქცევას
დღეს ყველა აქებს.
ახლა ქათამსაც
გაეცინება,—
იგი სიდიდით
ისე ამაყობს,—
არავის არ გმობს,
არ ეცილება—

გაურბის ქალებს,
ღვინოს, თამბაქოს.
პატივცემულო,
რაშია საქმე?
რად გამოგცვლიათ
ახლა იერი?
თუ შეიძლება,
გვითხარით აქვე
სიტყვა მართალი
და გულმხიერი.
პეტრე, ძვირფასო,
რა დაგემართათ?
აყვავებულხარო
დიადი მიზნით,
ენერგიულად
საქმეს წარმართავთ,
მშენებელი ხარო
სოციალიზმის.
ჩვენ ვიცით,
სახეს
თუ რატომ იცვლით,
რად გახდით
აგრე
დაუცხრომელი...
დღეს, ჩვენო პეტრე,
ჩვენც კარგად ვიცით
რევიზიას და
წმენდას რომ ელით!

თარგმანი ვ. ლაშვირაშვილისა

ნახ. გ. ფირცხ: ლავასი





ბაზრის კარიბჭესთან

—კა-კა-კა-კა-რგი საქმეა ასეთ ძვირფას მანქანაში ჯდომა, ჰა, რას იტყვი, პარტიკულულო იხვო? — ზრდილობიანკითხვას აძლევს ქათამი „ბმე“ მარკის მანქანაში მჯდომ თანამგზავრ იხვს.

— ვიტ-ვიტ-ვიტ-ყოფი კარგია მეთქი, მაგრამ ბენზინის სუნი მწყენს და მანქანით სეირნობის სიამოვნებას საერთოდ მოკლებული ვარ... ეს ინდაური კი ნეტავ სადაურია, რომ თავს ასე მშვენივრად გრძნობს?

— კავ-კავ-კავ-თისხველი გახლავართ, მეგობრებო, ამ დილას ჩამომიყვანეს თბილისში...

ეს უჩვეულო ზოოლოგი წარმოებს „ბმე“ მარკის ГН 58-03 პეტომანქანაში.



მკითხველს, ალბათ, აწინაშეული მანქანის სისწრაფით მოიცავს განცვიფრება და იკითხავს: „როგორ თუ ავტომანქანაში, განა უპატრონო იყო ეს ავტომანქანა, რომ ფრინველები დაეპატრონენ და შიგნისკარტი დაუკითხავად შერგესო“?

მაგრამ განცვიფრებას თავი დავანებოთ, ეს მანქანა ხომ თბილისის ზოოვეტინსტიტუტისა გახლავთ?

— მერე? — კვლავ გაიკვირებს მკითხველი, — ზოოვეტინსტიტუტს განა რა სამეცნიერო პრაქტიკისათვის ესაჭიროება ამ საცოდავი ფრინველების მანქანით გასეირნება, ეს რა ვეტერინარიაა?

ჩვენც ამან გაგვაკვირვა და სწორედ ამიტომ მოვათავსეთ აქ ეს სურათი. და ეს გაკვირვებაც რომ სურათით სამუდამო არ გახდეს, უნდა მოგახსენოთ, რომ ზოოლოგია და ვეტერინარია აქ არაფერ შუაშია. სახელმწიფო მანქანით, სახელმწიფო ბენზინით და საკუთარი კალათით, ხსენებული ინსტიტუტის დირექტორის მეუღლე ბაზარზე გახლდათ, ეს იხვ-ქათამ-ინდაური იქ შეიძინა და სახლისკენ მიასრიალებს.

ამავე წუთში შურდულიდან გასროლილი ქვის სისწრაფით მოცვიფდნენ და ბორბლები ბაზრის კარიბჭეს მიაბჯინეს სხვა მანქანებმა, „მოსკვიჩებმა“ და „პობედებმა“. ზოგში შინამოსამსახურე ზის, წითელ თავშალწაკრული. ზოგი მანქანის მფლობელს კი თვითონ მეუღლე უმზა-



დებს თავბრუდამხვევ სურნელების მქონე ყაურმას, სუკის მწვადს და დამატებით საცივის თადარიგს იჭერს. ამ მანქანებს ასეთი ნომრები ამშვენებენ: ГЛ 65-87, ГЛ 03-07, ГН 68-50, ГН 22-15.

მათ გვერდით მწკრივში დგანან ГЛ 60-51, ГН 82-58, ГН 71-37 სერიის მანქანები, რომლების მფლობელთა მეუღლე-მოსამსახურენი მანქანის გარეშე ბაზარში გასეირნებას არ კადრულობენ.

„ნანაგი“, რასაკვირველია, ტკბილი პურ-მარილის წინააღმდეგი არაა, მაგრამ

როცა დაწესებულებას მრავალი საქმე აქვს და მისი, ფეხით მოსიარულე მუშაკები 10 წუთში გასაკეთებელ საქმეს 10 საათს უნდებიან, სახელმწიფო მანქანითა და ბენზინით საკუთარ საქმეზე სეირნობა მას მიუღებლად მიაჩნია.

მიუღებლად მიაჩნია აგრეთვე არ აღნიშნოს, რომ ბაზარზე სახელმწიფო მანქანებით მეუღლე-მოსამსახურეთა სეირნობის წინააღმდეგნი არც სხვა, მრავალი დაწესებულების ხელმძღვანელები არიან და დაპირებას იძლევა, რომ მომავალში იმათაც მიულოცავს.

ჩვენს წინ, მაგიდაზე 528-გვერდიანი წიგნი დევს. მისი სისქე და სიმძიმე შეხედვისთანავე მოკრძალებას შთაგავონებთ, მისი მთარგმნელების სიტყვა რომ ვინმართ, წიგნის „შიგნადების“ სერიოზულობაზე დაგაფიქრებთ. მოკლედ იგი ისეთი წიგნების კატეგორიას ეკუთვნის, რომელზედაც უხუშირიათ: „უნიკო ავტორს თავში რომ დასცხო — ჭკუაზე მოიყვანს“.

საკვირველია, რომ გადავშალეთ თუ არა ეს წიგნი, მაშინვე ზემომოყვანილი ხუმრობა გაგვახსენდა. გავეცანიო მას და უმაღლეს უღავო ვახდა, რომ ეს ხუმრობა სერიოზულად უნდა იქნეს გამოყენებული მისი ქართველი ავტორების (ე. ი. მთარგმნელ-რედაქტორის) მიმართ.

მაგრამ უკაცრავად. ჯერ თვით წიგნის „ვინაობისა“ და დანიშნულების შესახებ: ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი საუწყებო კრებული ვახლავთ. „საფოსტო წესები“ — ასეთია მისი სახელწოდება.

საფოსტო მომსახურება, უფრო სწორად — კავშირგაბმულობის მუშაობა — ურთულეს პროცესებს შეიცავს. მრავალ შემთხვევაში ეს პროცესები ჩვეულებრივი მოქალაქისათვის მიუწვდომელია, შეიძლება ნაკლებად საინტერესოც, მაგრამ მისი ცხოვრების ერთ-ერთ ელემენტს მაინც შეადგენს. ერთი სიტყვით, ეს თავისებური ტექნიკური მეცნიერებაა, რომლითაც აღჭურვილი უნდა იყოს ყოველი ფოსტის მუშაკი.

ამ მიზნით გამოუცია კავშირგაბმულობის საკავშირო სამინისტროს აღნიშნული კრებული რუსულ ენაზე. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო ნაწილისა და 59 განყოფილებისაგან შედგება, აუარებელ თვალსაჩინო მაგალითებსა და წესებს შეიცავს და პირდაპირ ცოდნის წყაროს წარმოადგენს კავშირგაბმულობის მუშაკთათვის.

განა ქართულ ენაზე კი არ უნდა გვექონოდა ასეთი კრებული? რა ბრძანებაა, რასაკვირველია, უნდა გვექონოდა!

დღეგრძელობა ნუ მოაკლოს კავშირგაბმულობის საკავშირო სამინისტროს სარწმუნებულოს საქართველოში, მან მხოლოდ ორი წლით დაავგვიანა აღნიშნული წიგნის ქართულად გამოცემა. ალბათ ამ დროის თვალსაჩინო ნაწილი საუკეთესო მთარგმნელ-რედაქტორის ძეგნას მოაწოდებდა, თორემ „ელვა“ დეპეშის სისწრაფეს წინ რა დაუდგებოდა?

— ეძიებდეთ და პოულობდით, — ნათქვამია. თურმე აღმოაჩინეს კიდევ ასეთი მთარგმნელი: ამავე უწყებაში მოკალათებულმა მომმარაგებელმა მოქალაქე მაკალათიამ გადასწყვიტა თავისი „შემოქმედებითაც“ მოემარაგებინა კავშირგაბმულობა და ამ კრებულის თარგმნა პირადი მომარაგების წყაროდ გადააქცია.

ჰოდა, აი, დევს ეს ვეება წიგნი ჩვენს მაგიდაზე და მჭევრმეტყველურად ლაღადებს, რომ ქართულ ენაზე მისი გამოცემა უკვე ფაქტია. მაგრამ ფაქტი აქ სხვა რამეც არის: ფაქტია ის, რომ გადაფურცლავთ თუ არა ამ კრებულს, პირველი გვერდიდანვე რალაცნაირი ჩექმის სუნი გეცემათ და თქვენ ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს მომმარაგების თარგმანს მეჩექმის ხელშიც გამოველს!

გადაშლით, თვალს გადაავლებთ, ტექსტს გადაიკითხავთ, თუ მაგალითებს გაეცნობით, თქვენ ნელნელა იძირებით მცნებებისა და ტერმინების აღრევის ქაობში. თქვენ უკვე მზად ხართ იყვიროთ:

— ეი, ვინ შეურაცხყოფს ენას? ვინ ამახინჯებს საფოსტო წესებს?

მაგრამ ეტყობა, აქამდე თქვენს მეტს არც უყვირია და არც უშველია ვისმეს, ხოლო მეჩექმე-მომმარაგებელს გული მოუჯერებიათ როგორც ქართული, ისე რუსული ენის დამახინჯებით.

ჯერ პატარა ილუსტრაცია:

წიგნს ყავს რედაქტორი, უბრალო კი არა, „პასუხისმგებელი“ რედაქტორი, მოქ. დ. კომახიძე, რომელიც ასეთ უპასუხისმგებლო დასკვნას იძლევა: „თარგმანი ცუდადაა შესრულებული და იმდენად წუნს წარმოადგენს, რომ... მაგრამ რადგანაც ეს წესები არაპოპულარული ლიტერატურაა... შესაძლებლად ვთვლი იგი ამ სახით გამოვიდეს“.

ამის შემდეგ თვითონ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ როგორც რედაქტორის, ისე თვით წიგნის „სახე“. (გამომცემლის სახე კი, რომელმაც ამ რეცენზიის შემდეგ წიგნი მაინც სტამბას ჩააბარა, სავსებით გამორკვეულად გამოიყურება.) მაგრამ რა მოსთვლის ჩვენი აღშფოთების მიზეზს? შეგვიძლია მხოლოდ მოკლედ, ძალიან მოკლედ მოვჭრათ.

რადგან შეიძლება თქვენ სულაც ვერ ჩაიგდოთ ხელში აღნიშნული კრებული, რამეთუ ის „პოპულარული ლიტერატურა არ არის“, ჩვენ ათასობით მაგალითიდან მხოლოდ ზოგიერთ „მარგალიტს“ გავაცნობთ:

კრებულში მოთავსებულია სანიმუშო ბლანკებისა და კონვერტების ილუსტრაციები მისამართებით. მნ-ე გვერდზე ასეთი კონვერტის ნიმუშიც ვკითხულობთ:

„შევეთილი ფინანსთა სამინისტროს“. (?)

სად... ნოვოსიბირსკი

ვის... გოსბანკის საოლქო კანტორას

გამგზავნი: მოსკოვი, კუბიშევის ქუჩა, 9. სსსრ ფინანსთა სამინისტრო“.

აქ ყოველგვარ აბრაკადაბრას რომ თავი დავანებოთ, „სსსრ“ ხომ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას ნიშნავს? საქართველოში რომელი მოსკოვი ეგულება მისამართის ბრძენ მთარგმნელსა და რედაქტორს? სად უნდა წავიდეს ასეთი გზავნილება და ვინ უნდა მიიღოს ის?

ასეთი ყირაზე დაყენებული „ნიმუშები“ უამრავია. უამრავია აგრეთვე ქართული და რუსული ენის დამახინჯების ნიმუშებიც. მაგალითად, სანიმუშო მისამართები მხოლოდ ასეა: „ივანოვი პეტრე ივანეს-ძეს“, „გავრილოვი პეტრეს“, „სობოლევა ანა ივანეს ასულზე“, „ივანოვი თანხლებით ლეონოვასი“ და სხვ. და ა. შ.

„საფოსტო ოპერაციის შესრულება“ ასეა თარგმნილი: „ჩააკეთა ივანოვი“, კანტორის უფროსის მოადგილე რუსულ კრებულში აღნიშნულია ინიციალებით: „კპპ“, ქართულში იგი უცვლელადაა გადმოღებული. მაშასადამე, მათი ქართულად გაშიფრვის შემთხვევაში ჩვენ უნდა მივიღოთ: „კანტორის ნაჩაღნიკის პომოშნიკი“. ინიციალებში ფოსტა ყოველთვის ნახსენებია „პოსტად“, ჯერ ვკითხულობთ: „საფულისბარათო პოსტპაკეტი“, ხოლო შემდეგ „ფოსტების დამუშავება“ (ისევე, როგორც ბრძანოთ „წყალების დაღევა!“). რომ რუსული „პოჩტა“ — ქართულად „ფოსტა“ ყოფილა — ამასაც ვგებულობთ წიგნში მოყვანილ ინიციალებიდან, ოღონდ ისე კი, რომ რუსული სიტყვაც არ დავაობლოთ: „ოპპ“ რუსულად ნიშნავს „ოტდელ პოჩტოვის პოსილოკ“-ის აღმნიშვნელ ინიციალებს. მრავალ შემთხვევაში ეს ქართულადაც ასევეა გადმოღებული, ხოლო ზოგჯერ კი ის არის „ოფ“, ან „ოფოფ“.

მაგრამ კმარა! ჩვენ საშუალება არა გვაქვს ვთვალოთ ის „ოფოფები“ და „ჩაკეთებული“ „გოსბანკები“, ან აბდაუბდური „შიგნადებები“, რომლებითაც გადავილია ეს უზარმაზარი კრებული, წიგნი, რომელიც მშვენიერი სუფთა ქალღიდან — აღმაშფოთებელ მაკულატურად გადაუქცევიათ, და ამ „ოპერაციამ“ მთელი კალთა სახელმწიფო ფული გადაუყრიათ. ჩვენ გვინდა მხოლოდ ხმაილა შევძახოთ:

— ვინ შეურაცხყოფს ენას?

ფარსადანი

უიში გვანას, კული გვაკვირვებს

— პატივცემულო მოსამართლე, ისე
ხელმოშვირნელ ვცხოვრობდით, ისე
ხელმოშვირნელ, რომ ხშირად მკადიც
გვენატრებოდა... თქვენ კი ამბობთ
თქვენს ქმარს დიდი თანხა შემოეჭა-
მაო... ნუთუ ჩემი ფიცი არ გწამთ!

— დიახ, ფიციც მწამს და კულიც მა-
კვირვებს.



ნახ. გ. ფირცხალავასი

ქარაგმუგოი ნაკვესები

● დასასვენებელ ზარკში ისე ძვირი
ღირდა საქანელასე შეჯდომა, რომ დამ-
სვენებლებს გასაქანს არ აძლედა.

● კოლქუერნობა თესვის დაწეობას
აგვიანებდა და ეს არც მიაჩნდათ სამარ-
ცხვინოდ, სორობლის მარცვლები კი სირ-
ცხვილისაგან ნატრობდნენ მიწა გაძ-
სკდარიუო და შიგ ჩამძვრალიუფნენ.

● ჯერ კიდევ არ მოგჩენიათ თვა-
ლები, ამ საღამოს ბინაზეც მოდით ჩემ-
თან, — იცრუა ექიმმა და სრულიად ჯან-
მრთელ ზაციენტს თვალები აუხვია.

● ახლად გაძლილი ფოთლები ისე
გაუოცებლად შეჭურვებდნენ დიდი ხნის
გაურემონტებელ შენობას, თითქოს წარ-
სულ გახაფხულზედაც ისინი შრიანებ-
დნენ ამ ხეზე.

● „ვევლბ ვებაეს რომ კაბალი გაბგ-
დებინო, კარგა ბლომად დაგროვდებო“,
გადახწორა მოლარემ ანდაზა და კიდევ
ერთი სამკაპიკიანი შეინარჩუნა.

ელიზბარ ყიფიანი



ზოოგაენიკოსი, თუჩული და ბაუხალოზი

პირუტყვთა მოვლის დროს, იშვიათი როდია შემთხვევა,
როცა რომელიმე თავდადებული ზოოტექნიკოსი თავს ვერ
დაიცავს შესაფერისად და თვით დაავადდება თურქულით, ან
ბრუტელოზით...

სამწუხაროდ, ასე მოუვიდა კასპის რაიონში მომუშავე უფ-
როს ზოოტექნიკოსს ვ. ზაქარეიშვილს. მან საკუთარ ცოლ-
შვილზე გული აიცრუა, ვნებათა ღელვას აჰყვა და იქვე, მის
გვერდით აკუნტრუშებულ კოლეგას მკლავი-მკლავში გაუ-
ყარა...

ჯერ არ არის დადგენილი, ეს ავადმყოფობა ბრუტე-

ლოზია თუ ბრუტელოზი. კასპის მთელი მოსახლეობა კი თვალ-
ნათლივ ხედავს ვ. ზაქარეიშვილის უღირს საქციელს: მან გუ-
ლის ტოლისტვის სოფელში სპეციალური ოთახი იქირავა, კა-
ნონიერ მეუღლეს, ალბათ, მონა-მორილ ცხვრად სთვლის—
საერთოდ აუკრძალა კასპში ჩამოსვლა...

ცხვარი ცხვარია, მაგრამ... ყველაზე მეტად თვით პა-
ტივცემულმა ზოოტექნიკოსმა უნდა იცოდეს, რომ ორცოლია-
ნობას არავინ აპატიებს. დროა განიკურნოს ამ თურქული
ავადმყოფობისაგან.

გიტაოკანკონდანი

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1952 წ. 22/IV. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შვკ. № 904 გამოც. № 7. ტირ. 15.000. უფ 02359.



— რა იყო, გენაცვალე, რა მოგვივიდა?
— რევოზია დამეცა თავზე.